

ქალაქ ქუთაისში, ხუნდაძის ქუჩა N54 საცხოვრებელი სახლის
N24 ბინაზე, მოქალაქე ნათელა მუშკულიანისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამში განხილული იქნა ხუნდაძის ქუჩა N54 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნათელა მუშკულიანის განცხადება /2012 წლის 04.06 Nმ-4422/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხუნდაძის ქუჩა N54 საცხოვრებელი სახლის N24 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხუნდაძის ქუჩა N54 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნათელა მუშკულიანს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ხუნდაძის ქუჩა N54 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაზე /საერთო ფართობი 68,22 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 43,10 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,12 კვ.მ./ მოქალაქე ნათელა მუშკულიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია